№ 56
კვირა, 14 მარტი, 1899 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲐ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1899

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 56
კვირა, 14 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დღეს, კვირას, 14 მარტს, გენერალ-ფელდმარშალის ქვრივის,

ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲔᲚᲘᲡᲐᲒᲔᲓ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲐᲗᲘᲜᲡᲙᲘᲡ

გარდაცვალების მეორმოცე დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და არა სიონის ტაძარში, როგორც წინად იყო გამოცხადებული. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

(1—34—1)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

გასტროლები ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

კვირას, 14 მარტს,

ქართული დასისაგან ვ. ს. **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და **Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

პირველად ახალი პიესა

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

დრამა 3 მოქმედ. თარგ. ან. მეძმარეიშვილისა.

II

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲔᲚᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

კომ. 2 მოქმ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. კარგარეთელი, გამყრელიძე, გარელი, წერეთელი, ვაშაკიძე; ბბ. **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ**, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, თუთბერიძე, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორი ვ. ს. ალექსი მესხიშვილი. გამგე ვ. აბაშიძე.

ᲘᲕᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲚᲝ.

ᲤᲘᲚᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲝ ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაში, რომელიც მოთავსებულია ალექსანდრეს ქუჩაზედ № 3 სახლში, კვირა-უქმე დღეებით; ნაშუადღევის 1—5 საათზედ, გამართული იქმნება ბაზარი უსინათლოთა მიერ მომზადებულ ნივთებისა, როგორც, მაგალითად: კალათებისა, ხალიჩებისა, შჩოტკებისა და სხვათა. (3—უ.—3)

ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲐ ᲙᲐᲡᲘᲠᲘ

ადრესი: „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუზრან-ბატონისა. (—ნ.—6)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ს. **ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. მ **ᲩᲝᲩᲝᲒᲜᲘ**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი დანერვებისა.
ზ. ი. **ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲐᲜᲪ.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადფმყოფს.
ი. თ. **ᲨᲩᲝᲢᲙᲘᲜᲘ**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ვადმყოფ.
ს. ᲐᲐ. **ᲒᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲪ.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ბ. ᲒᲘ. **ᲒᲣᲠᲒᲐ.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
ᲒᲘ. ᲛᲐᲡᲮᲚᲔᲚᲘ.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ს. ნ. **ᲨᲐᲒᲝᲜᲘᲫᲔ**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ბ. ს. **ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ**—6½—7 საათ
ტ. Ა. **ᲠᲣᲓᲜᲔᲒᲘ**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დარეკტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

გადაყვანილ იქმნენ ტფილისის გუბერნატორის სკანგენბო სამეთა უფროსი მოსწავლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დავით გურამიშვილი—ტფილისის სასახლინო ბალატის სკანგენბო სამეთა შტატს გარეშე მოსწავლედ; ახალთონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ალისე მურტაძე (ოგიეკ ბაბად-ოღლი) ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა ქ. ტფილისის პოდიტის მოხელე ნიკოლოზ გაბარაშვილი თანამდებობიდგან, რადგანაც ოთხის თვის განმავლობაში აკადმყოფობისა გამო სამსახურში არ გამოცხადებულა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** დღეს, 14 მარტს, სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდება წლიური კრება ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების წევრთა. გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ეს კრება მეორეა, რადგანაც პირველი არ შესდგა წევრების დაუწერებლობის გამო, და ამიტომ რამდენი კაციც უნდა დაესწროს, შესდგება.

*** დღეს, 14 მარტს, ქართულის დასის არტისტებისაგან, ბ-ნ ვ. ს. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, ქართულ თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ორ პიესას: დრამას „ცხოვრების გმირს“ და კომედიას „შვენიერ ელენეს მაძიებელნი“-ს. „ცხოვრების გმირს“ ტფილისში პირველად არდგენენ.

*** დღეს, 14 მარტს, მწუხრის შემდეგ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბარს წარმოსთქვამს ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილ. ფერაძე შემდეგის სათაურით: „ცხოვრება და წამება წმ. მოწამისა კონსტანტინე ქართველისა“.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდგან ტფილისში დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში დაბრუნდება.

*** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ შარშან ტანიოკოთაგან შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა თავად აზნაურთა თეატრი და აღმოაჩინა, რომ ეს თეატრი ბევრს შეკეთებას და შესწორებას საჭიროებს. ეხლა, 12 მარტს, ბოლიცმეისტერმა აცნობა საგუბერნიო სამმართველოს აღმშენებელი განყოფილებას, რომ ამ თეატრში დღემდისაც არ შეუკეთებიათ ის, რაც კომისიამ საჭიროდ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

(გუსტავ ნადოსი)

ერთხელ მეგობართ შეჰქმნეს ბაასი,—
ვის რა ამბავი გადახდენოდა,
ვინ ბნელს ღამეში ალეკჯს შეჰყროდა
და იმის შიშით ოფლი სდენოდა,
ვის რა ენახა, ვის რა სტკიოდა,—
ყველა თავ-თავისს დარდსა სჩიოდა.

—

ერთის შავგვრემან ქალის მეუღლემ
ასე დაიწყო თვისი ამბავი:
—„მეც დამემართა ერთი რამ საქმე,
გაუგებელი, ძვირ-სანახავი.
ვერ მივხვდი, თუმცა ბევრჯელა ვცადე,
მიზეზს იმისას, რაც გამოვცადე.

—

„ერთხელ როგორღაც, რაღაც მიზეზით
განვშორდი ცოლსა, ჩემს ტურფა ნიმოგეხსენებათ, ძნელია კაცმა [ნოს...
დიდხანს ეს გასძლოს და მოითმინოს.
და მეც ვერ გავძელ... ვიფიქრე, ჩუმად
ვეწვევი-მეთქი ჩემსავ სახლს სტუმრად.

„სახლში მისვლამდე გზად დამიღამახალხი მთლად იყო მიძინებული. [და.
ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიძგერდა,
როგორ მითრთოდა საბრალო გული!..
ცოლს გავახარებ!.. რა ეოცება!..
ეს იყო ჩემი ფიქრი, ოცნება...

—

„მივედ სახლამდე და... რასა ვხედავ!?
ჩემს ადგილს ყველა გაჰკვირდებოდა...
ნინოს ოთახის ფანჯრიდგან ვიღაც
მაწანწალა და პლუტი ძვრებოდა.
ხელის განძრევა ვერ მოვასწარი,
რომ ძირს ჩამოხტა ღამის სტუმარი.

—

„ამ უცნაურ გზით სტუმრობის მიზეზს
ყველა ადვილად მიუხვდებოდა:
შუაღამისას, იმ სიცივეში,
თუ არ ქურდი, სხვა ვინ იქნებოდა?..
მერე ისეთი სიცივე იყო,
მდინარეც-კი მთლად გაყინულიყო.

—

„იქავე კუთხეს ამოვეფარე...
რა უნდა მექნა, რა მჭონდა ძალი?
რისხვა და ბრაზი ყელში მომაწვა,
სულ მთლად გავფითრდი, ფერი მეცვა
ვერ დავიჭირე, ის ისე ჩქარა [ლა.
გაიქცა, გაჰქრა, თვალს მოეფარა.

„სახლში შევარდი როგორც ისარი,
გამოვდევიდე ვინც-კი რომ მყავდა...
ნინოს ეძინა... ოჰ, რომ გენახათ,
თვისის სიტურფით ანგელოზს ჰგავდა!..
ვამოიღვიძა ვარდმა, იამა,
ჩემი დანახვა დიდად იამა.

—

„იქაურობას თვალი მოვავლე:
სულ ყველა იყო ხელ-უხლებელი,
ვერცხლი და ოქრო, ავეჯი, ფული
უძრავი დამხვდა და უკლებელი.
სრულად არაფერს არ ემჩნეოდა,
რომ ჩემს სახლს ქურდი სტუმრად სწვე- [ოდა.

„მივედი ფანჯრის მისახურავადა...
და თქვენ გგონიათ ღია დამიხვდა?..
ა, ბატონებო, სწორედ ეს არის,
რასაც გონება ჩემი ვერ მიხვდა!..
თვით მიიხურა? ხომ იყო ღია,
რა უჩინარმა ხელმა მისწია?!.

—

„დიაღ, ხანდახან უცნაური რამ
კაცს გადაჰხდება და შეემთხვევა,
ჰკუას, გონებას ამოიდა ჰღლის,
არ ძალ-უძს მისი მას გამორკვევა.
ეს ამბავი რომ გამახსენდება,
დღესაც-კი მიკვირს და მიოცდება.“

ახ...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲔᲑᲘ“ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ.

ეს მერვე თუ მეცხრე წელიწადია, რაც რუსეთის სატახტო ქალაქში ქართველმა სტუდენტობამ დაიწყო „ქართულ საღამოების“ მართვა. ამ ბოლო წლებში ამათ მიჰბაძეს პროვინციალიურ უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებმაც. შარშან გამართეს „ქართული საღამო“ ქ. დორპატში; წრეულს კიევს ქ. ოდესაში და ბოლოს კიევის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც აჰყენენ ამ საზოგადო, სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებს ფეხის ხმას და 5 თებერვალს გამართეს ქ. კიევში ესრედ წოდებული „სტუდენტური ქართული საღამო“, რომელმაც გვარიანად ჩაიარა. ამ გვარ საღამოების მართვის შესახებ ქართველ სტუდენტების მიერ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ჯერ თითქმის თვით „საღამოს“ ქება-დიდების მეტი არაფერი არ გამოთქმულა. ეხლა მე მსურს მკითხველთ გავუზიარო, როგორც ჩემი, ისე ზოგიერთ ჩემის ამ ხანაგის აზრი ამ „ქართულ საღამოებზე“ შესახებ. ყოველი საქმე ფასდება იმ აზრით, რა აზრითაც იმართება. როდესაც ადგენენ თუ ისს აზრს მოთავევენ ამ საქმის აღსრულებაში მოყვანით და მერე კიდევ—რა გავლენა აქვს ამ საქმეს, როგორც მოთავეებსა, ისე დანარჩენ საზოგადოებაზედ, რომელნიც ამ საქმეში აქტიურ ან პასიურ მონაწილეობას იღებენ. ამ მხრივ „ქართული საღამოების“ გათვალისწინებას გამოიდვილებს შემდეგი გარემოება. ამ „საღამოებს“ უკვე აქვთ თვისი წარსული. მართალია, ეს წარსული ბევრის ხნისა არ არის, მაგრამ მაინც და მაინც სრულიად საკმარისია ცხადად დაგვანახოს, სასარგებლოა თუ არა ქართველ სტუდენტობისათვის ქონებრივად, გონებრივ და ზნეობრივ ამ გვარ საღამოების მართვა. დავიწყოთ იქიდგან, თუ რამოდენით აღწევს იმ მიზანს, რასაც ეტანება ამ „საღამოების“ გამმართველი ქართველი სტუდენტობა. უმეტესობა მათგანი ამბობს: „ამ „საღამოების“ საშუალებით ვაცნობთ რუსის საზოგადოებას საქართველოს კულტურას და მასთან ერთად ქონებრი-

სცნო და ამიტომ იქ მომავალ სეზონიდგან წარმოდგენების გამართვა შეუძლებელი იქმნებაო. ამ თეატრის უმთავრესი ნაკლულევანება, კომისიის აზრით, ის არის, რომ საკმაო გამოსახვლელი კარები არა აქვს, ასე რომ თუ თეატრს ცეცხლი წაეკიდა, იქ მყოფი საზოგადოება დიდს გაჭირვებაში ჩავარდება. კომისია საჭიროდ სცნობს ამ თეატრში შუა ადგილას ეზოდგან ასასვლელი განიერი კარები იქმნას გამართული.

*** 12 მარტს განსაკუთრებულმა კომისიამ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის თავმჯდომარეობით დაათვალიერა ჭიათურის შტო და ბორჯომში წავიდა. კომისია ტფილისში დღეს, 14 მარტს, დაბრუნდება.

*** ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევანები მოხდება ორშაბათს, 15 მარტს.

*** სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის ყველა სამკურნალო გამგეობას წარუდგინონ მას დაწერილებითი ცნობები იმ ადგილების შესახებ, სადაც ხაშია (მალარია) გავრცელებული, აგრეთვე უნდა აღნიშნონ ისიც, რა სამკურნალო ზომებია მიღებული ამ ადგილებში სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამდენი ხალხი იხოცება ამ სენისაგან და სხვა.

*** კანდიდატად სოხუმის ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ, როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, ზოგიერთი ხმოსნები ასახელებდნენ ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრს გ. ო. ვოლსკის, მაგრამ ბ-ნი ვოლსკი არ დათანხმებულა. ეხლა ამ ხმოსნებს ბ-ნ ა. ტ. ნანეიშვილისთვის მიუმართავთ და უთხოვნიათ დაიდგას ყუთი ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ბორჩალოს მაზრის უფროსი რ. რ. არნოლდი თანამდებობიდგან გადაყენებულ და სამართალში მიცემულ იქმნა. რ. რ. არნოლდს თანამდებობის აღსრულების დროს უკანონობის ჩადენა ჰბრალდება. როგორც „ტფილისის ფურ“-ი იუწყება, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი აბელი

ვადაც სასარგებლოა ჩვენის ღარიბ ამხანაგებისთვის“. რაც შეეხება იმას, ვითომ ამ გვარის „სადამოებით“ შეგვეძლოს გავაცნოთ რუსის საზოგადოებას საქართველო, — ძალიან ვეეჭვობ. ამ „სადამოებით“ ჩვენი სტუდენტობა უმთავრესად აცნობს დამსწრე საზოგადოებას იმას, თუ როგორ თამაშობენ ქართველები ლეკურს, კინტოურსა და ან კიდევ როგორა ჰმღერიან თითო-ოროლა სიმღერას. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ: საზოგადოდ ამ „სადამოებზედ“ ძალიან ნაკლებად ჰმღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, სულ სამი-ოთხი ნომერია ხოლმე, ისიც სხვა-და-სხვა კომპოზიტორის მიერ თავისებურად გადაკეთებული. ბოლოს ამას თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ამ სიმღერებს ასრულებენ ისინი, რომელთაც სრულიად არ იციან ქართული სიმღერების კილო, მაშინ ჩვენთვის ისეც ცხადი უნდა იყოს, რომ ხალხურ მშვენიერ კილოებს ჰმღერიან ისე, როგორც რომელსამე სხვა რუსულს, ან ევროპიულს კილოს, და ამათ ხომ „ქარ-

---

შეუდგა ამ საქმის გამოძიებას. 12-ს მარტს ბ-ნს აბელს არნოლდისათვის ჩვენება ჩამოურთმევია.

*** გაზ. „კავ.“-ი სწერს: ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა ქალაქის მოურავს წარუდგინოს პირი საბჭო იმ დადგენილებისა, რომელიც შეეხება ხაზინაში თავის დროზედ სახელმწიფო გარდასახადის შეუტანლობის საქმეს. ამასთან გუბერნიის გამგემ მოსთხოვა მოურავს შეატყობინოს, რა მიზეზის გამო სახელმწიფო ფული შეტანილი იყო ქალაქის კასის სამოქმედო თანხაში, როდესაც ამ ფულის რაოდენობა, როგორც რევიზიამ გამოარკვია, უნდა ყოფილიყო 39,000 მანეთამდე, ქალაქის კასაში კი 16 ოქტომბერს ოფიციალურ რევიზიის დროს აღმოჩნდა მხოლოდ 3,293 მანეთი.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, ტფილისის საგუბერნიო დამინისტრაციამ 11 მარტს შეატყობინა „ტფილისის სომეხ დედათა საქველმოქმედო საზოგადოებას“, რომ ამ საზოგადოებამ, საქველმოქმედო საზოგადოებათათვის გამოცემული ნორმალურ წესდების თანახმად, უნდა გააუქმოს ჭრა-კერვის სკოლა, რომელსაც ეს საზოგადოება ინახავს. ეს სკოლა 5 კლასისაგან შესდგება. სწავლობს ამ ჟამად იქ 160 ქალი.

*** ბელი-კლიუჩიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ 6 მარტს სოფ. ფარაკლის ში ცეცხლმა გაანადგურა 10 სახლი. დაიწვა ბელლებიც, სადაც ხორბალი ინახებოდა და აგრეთვე შუშა, რომელიც ეზოებში ეწყო. დაზარალებულნი ღვთის ანაბარა დარჩენილან, სასმელ.-საჭმელიც კი აღარ გააჩნიათ თურმე. ამ სოფელში ქართველები სცხოვრობენ.

*** გაზ. „ტფილ. ფურ.“-ი იუწყება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ა. კ. იაკიმოვი ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავს ანებებსო.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს: ხელმწიფე იმპერატორმა, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტ-

---

თულ სალამოებზედ“ უუდიდესი ადგილი უჭირავთ ხოლმე მუდამ. ამ ბოლო ორ წელიწადს კიდევ თითქმის ყველგან ამ „სალამოებზედ“ მღერიან და ორკესტრი უკრავს ბ. ბალანჩივაძეს მიერ შეთხზულ ამა თუ იმ კომპოზიციას, თითქოს ქართულს სიმღერებს მხოლოდ ამ კომპოზიტორის ნაწარმოებში შეადგენდეს. ამით მე სრულიად არა მსურს უდიერად მოვიხსენიო ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორი ბ-ნი ბალანჩივაძე და ან მისს ნაწარმოებს დავდო რაიმე წუნი, არამედ, თუ ქართველ სტუდენტობას სურს გააცნოს რუსის საზოგადოებას ქართული სიმღერები, მარტო ბ-ნ ბალანჩივაძეს კომპოზიცია არ არის საკმარისი ამ სურვილის მისაღწევად.

ლეკურ-კინტოურსა და სიმღერებს უნდა დავუმატო კიდევ ქართული ტანისამოსი და ამით თავდება ყველა ის მხარე ჩვენის კულტურისა, **რომ**ლითაც ქართველი სტუდენტობა ვაცნობთ რუსის საზოგადოებას საქართველოს. მგონი, უნდა დამეთანხმოთ მკითხველო, რომ ეს ძალიან

**) ამ თამაშობამ კიევის საზოგადოებაზე საზიზღარი გავლენა მოახდინა, ბევრნი გაიძახოდნენ: „ужасно дико“-ო.

ავტორი.

რის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, უმაღლესად ნება დართო გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ-სართულიანი სახლი, რომელიც ქალაქ ტფილისში ოლგას ქუჩაზედ არსებობს, რათა გადმოსახლებულ რუსთა დახმარებელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებას შეეძლოს უსასყიდლოდ ისარგებლოს ამ სახლით.

*** ტფილისის გუბერნიის გამგეს შუამდგომლობა ადუძრავს იმის შესახებ, რომ მოლიციელის ტარასოვის მკვლელნი სამხედრო სამართალში აქმნან მიცემულნი.

*** 12 მარტს ტფილისის მოლიციმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მეხოვრებნი ზშირად სწიგაენ, ამ უკანასკნელ დროს შუადღის შემდეგ მთელს ქალაქში ხორცი ადარსად ამოვეგებ, რადგანაც ყასაბი მორწმენილ ხორცს სარდაფებსა და საყანურებში ინახავენ და ადარსფრის გულისთვის ადარ ჭედანო. მოლიციმეისტერი სთხოვს ქალაქის მოურავს განკარგულება მოახდინოს, რომ ყასაბებმა მორიგობით მაინც კვეკვიდან სოდმე ხორცი მთელის დღის განმავლობაში.

*** 11 მარტს კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის სხაბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს იმ დარჩენილ გადასახადის საქმის განხილვა, რომელიც ცხენებზედაა გაწერილი და ქალაქის სასარგებლოდ იკრიბება. კომისიამ დადგინა დაკავლის საკრძალ სამრეწველო მოლიციის აგენტებს წარუდგინონ ცნობები იმ დარჩენილ გადასახადის შესახებ და აგრეთვე გვარი და სახელი იმ ცხენების პატრონთა, რომლებზედაც ეს გადასახადი დარჩენილი 1894 წლიდგან. ამის გარდა აგენტებს დაეკვალთ წარუდგინონ კომისიის შემდეგ კრების ცნობები მეგზრმეგლისა და იმ მეპოკოზეების შესახებ, რომელთაც კმეწები და ხარები უბამთ. როგორც გეწერეთ, ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი მხოლოდ ცხენებს ადგენ და ხარებისა და კმეწებს პატრონნი ამისაგან განთავისუფლებული არიან.

*** ტფილისის ოვით-მმართველობას აზრად აქვს გამოსცეს სასანიტარო-

---

და ძალიან ცოტა ჩვენის ეროვნების გასაცნობად. არამც თუ ცოტაა და საკმარისი არ არის, ჩემის აზრით, მართო ამ გვარი გაცნობა ცუდიც არის ჩვენთვის. რუსის საზოგადოებამ დიდი ხანია, რაც იცის, რომ ჩვენ, ქართველები, ვთამაშობთ ლეკურს, კინტოურს და ვატარებთ იარაღს. არა, ამაზედ მეტიც იციან, მაგალითად, ისიც იციან, რომ ჩვენ ბრალიანად და უბრალოდ ვხმარობთ ერთმანეთის ამოსაწყვეტად ვერცხლითა და ოქროთი მორთულს იარაღს. ეს გარემოება არამც თუ ისე იციან, როგორც მართლა არსებობს ჩვენში, არამედ ათჯერ ტ ოცჯერ გაზვიდებულად. მხოლოდ ჩვენი სტუდენტობა თვისის „სადამოებით“ ამ აზრს უფრო უმეტესად ვერ ავიღებ რუსის საზოგადოებას, ვიდრე ურდვევს, რაკი მთა აცნობს მხოლოდ ხანჯლებით ლეკურის თამაშს **), კინტოურს, ღვინის სიუტვის სიმბოლოს — ღვინის შიდრეკვანსა

სხბეითადო სკაკდგუბდო დადგენილებანი ქაკ. ტფილისისთვის. გამგეობას უგვე შეუმუშავებია პროექტი დადგენილებათა და ამ ახლა მომავალში წარუდგენს სამსჭოს განსახილველად.

*** როგორც ქალაქის იუბილეგოსსეფტის თანაშეწის ბ-ნ ქანანოვის ანგარიშიდგანა სჩანს, თუბერკოლის თვის განმავლობაში სამსჭოს ექმეპბისა, ეგენტებსა და ტანსნეგოსებს 36 კაცი მიუცია სამართალში, რომელთაც სამსჭოს სკვალდებული დადგენილებათა დარღვევა ჰბრალდებთ. 26 საქმე ეგენ ბანანოდეთ მომრიგებელ მოსამართლეებს და დამნაშავეები დაუკარამეებთ 1-დგან 10 მანეთამდე. სხვა საქმეკი ჯერ განსახილველად.

*** 11 მარტს მოხდა არჩევანები მეეტლეთა სტაროსტისა და იმის კანდიდატისა. არჩეულ იქმნენ სტაროსტად—სტეფანე რემეზოვი, ხოლო კანდიდატად—ანდრია ლოსკუტოვი. კრებამ დადგინა მოუმატოს ჯამაგირი სტაროსტას; ამიერიდგან იმის სასარგებლოდ თითო მეეტლემ უნდა გარდიხადოს 50 კაპ. ნაცვლად, როგორც აქამდის იყო, 1 მანეთი.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ. „ივერიის“ მე-54 №-ში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რომ „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ მუზეუმს შესწირაო ილიეს ნიკოლოზოს ძე მეტკვილაძემ „იაპონიური ხმალი ძველის ქარქაშით“. უნდა იყოს: „ძველის ქარქაშით“ და სხვ.

ᲬᲕᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐᲜᲘ

V

დაგეიმტკიცოს და გვასწავლოს!

ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ უმთავრესად იმიტომ დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე ინტელიგენცია, ჰბრძანებს გაზეთი კვალი (№ 10, წერილი ბ ნ ნოე ჟორდანისი), რომ მან, იტელიგენციამ აითვალწუნა „ბრბო“ და იმდენი ჰქნა, რომ მანკის კრებიდგან განაძევეო.

თუ ასე იყო, დიდი ნაბიჯი წარუდგამს წარმატებისკენ ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ბრბოდ იხსენიებს, მდევური ნაბიჯი: ღირსეულად და სასტიკად დაუსაჯავს და შეურცხვენია ის ვითომ-დ ინტელიგენტნი, ვის გამოისადაც ჩვენი უმრავლესობა, რომელსაც მანკის მეტი საზოგადო საქმე და საბჭო არა ჰქონდა-რა, დღეს ამ უკანასკნელ სალსარსაც მოკლებულია და წელიწადში ერთხელაც ვერ შეიძლება ერთად მოიყაროს თავი და განიძლიეროს ძლიერს მბეტუტავი საზოგადოებრივი და ეროვნული თვითცნობიერება. თუ ასე იყო, სწორედ შესაჩენებელი არიან თ. კ. მ. ლორთქიფანიძე და მისი მომხრე ინტელიგენტნი... მაგრამ ასეკი იყოს? ეს ამ ბ-ნმა ჩიკვაიძემ დღევანდელი მისი ოპოზიცია, ჯერ აზრადაც არავის მოსდიოდა წარმომადგენელთა შემოღება და, მაშასადამე, ბრბო სულ სხვა გვარი მიზეზებით უნდა მიეზიდნა თავისკენ. რატომ ამ მიზეზებს-კი არ მოიხსენიებს „კვალი“? უეჭველია, დასათუთება ინტელიგენციისა... ცარიელი სიტყვებია, რომელსაც მაშინ აღმოიტყვის ხოლმე კაცი, როდესაც დასამალავი, დასაფარავი აქვს რამე და უნდა თვალი აუბნის მკითხველს. ცხადია, მაშინ სულ სხვა გვარი ხერხითა და ხრიკით მიიმხრო ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ უმრავლესობა და დაკვსტ ამაკ სერხთ ᲥᲐ ᲮᲠᲘᲙᲘᲗᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ დუდუკზედ და ხშირად იმისთანა ალაგს წაყოფენებს ხოლმე ცხვირს ამ მართლა და ბრბოს, რომ... სირცხვილით ვეღარ გვითქვამს... შორაპნელი ვარო. ამ ხერხისა და ხრიკის გარდა თუ სხვაც იყო რამე, გვასწავოს მეცნიერმა პუბლიცისტმა მეცნიერულის „კვალისამ“, ოღონდ საკმარისად დასაბუთოს და დაამტკიცოს იგი, თორემ დაუმტკიცებელი გამტყუენენ ხომ ცილის-წამებაა და სხვა არაფერი. ჩვენ გვეგონა— და საზოგადოებაშიაც აქამომდე ასევე ჰფიქრობდნენ, — რომ მანკის კრებების წეს-რიგის შეცვლას თვით მოავრობა ჰფიქრობდა და ჩვენ მართო დავსწარით და, რამდენადაც შეგვეძლო, ჩვენდა სასარგებლოდ შეგაცვლევინეთ მთავრობას განზრახვა—თუ ამისთვის გადაუდგა უმრავლესობა ინტელიგენციას, მართლა რომ ბრბო ყოფილა და დამტკიცა კიდეც ძველი ანდაზა: „როგორიც ერი, ისეთი ბერიო.“

ტელიგენციაც. არა ერთსა და ორს ქართველ სტუდენტს გაგვიგონია ჩვენის პროფესორებისაგან: „ქართველები ქრისტიანები არიან?“ „ქართველებს ეურნალ-გაზეთები აქვთ?“ და სხვა და სხვა.

უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზდობა მოვალენი ვართ გავაცნოთ საქართველო ყოველ მხრივ როგორც რუსის საზოგადოებას, ისე დასავლეთ ევროპის საზოგადოებასაც. მხოლოდ აქ უმთავრესს საგნად უნდა იყოს აღნიშნული გავაცნოთ საკუთარი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და არა მარტო ლეკური, კინტოური, ხმალ-ხანჯალი და სხვა ამ გვარი. ამ მხრივ კარგი იქნება ჩვენთვის, რომ წავბაძოთ ჩვენ მეზობელ სომხების საზღვარ-გარეშე მყოფ ახალგაზდობას. ისინიც ამავე აზრით ჰმართავენ დასავლეთ ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებში „სომხურ საღამოებს“ და დამსწრე საზოგადოებას აცნობენ აქ თავისს ისტორიას, ლიტერატურას, საწმენობას, თავისს ხალხის მდგომარეობას ოსმალე-

„დაუძლურებულს, უნიადაგოს, მეტის-მეტად დასათუთებულს“ ინტელიგენციას გადაუდგა ის შეგნებული უმრავლესობა, რომელსაც—„კვალის“ სიტყვით—საზოგადო საქმეში მონაწილეობის უფლებას ართმევდნენ და მიუდგა...კალისტრატე ჩიკვაიძეს? ალბად შემკული არის ბ-ნი კალისტრატე ყოველი იმ ღირსებით, რომელიც ინტელიგენციას აკლდა და ბარემ სთქვას რადა ეს ღირსებანი ბ-ნმა ეორდანიამ? რა არის აქ დასამალავი? განა ვინც იმისს წერილს წაიკითხავს „კვალში“, დარწმუნებული არ დარჩება,—კალისტრატეს მომხრეა და რეტხვენიან და ჰმალავსო? არა სჯობდა პირდაპირ შეექო ეს „პრაქტიკული მოღვაწე, ხალხთან დაახლოვების და მის მეთაურობის მცოდნე (შორაპნელებსაც ხომ ის მეთაურობდა?), მოძრავი, და მომქმედი“. და პირდაპირი მისი ქება და დიდება აი რითი შეიძლება: ბ-ნს კალისტრატეს აგერ ცხრა წელიწადია ხელთა აქვს ბანკი და სრულიად თავისუფლად და თავისებურად განაგებს. მაშ საბუთებით და ციფირებით გვითხრან, რითი გამოიჩინა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ის ღირსებანი, რომელნიც მის მოწინააღმდეგეთ აკლდათ და რომლითაც მან მოიპოვა ბრბოს გული? როგორი კვალი დაადო ბანკის საქმეებს მისმა გამგეობამ? შესძინა რამე, თუ პირ-იქით, ავნო და ბევრადაც ავნო? და—ორივე შემთხვევაში—ყოველთვის კანონიერ საფუძველზედ იდგა იგი და მით ჩაგდო საზოგადო ჩვენი დაწესებულება დღევანდელს საეალალო ყოფაში, თუ უფრო ხშირად თავის ნებისად ჰპატრონობდა ბანკს?

?

რუსეთი

—

იმის გამოსარკვევად, ღვინოს აქციზი დაედოს თუ არა, ფინანსთა სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია. კომისიის წევრებად მხოლოდ ამ სამინისტროს მოხელენი არიან.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, აზრადა აქვთ ამ ახლო მომავალში გამართონ სპეციალური გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ საერო განათლების, ფინანსთა და გზათა სამინისტროების სასწავლებლები, უკვე შესდგომიან ამ გამოფენის პროექტის შემუშავებას.

— იმ საეკლესიო სამასწავლებლო სკოლების, რომელთაც აზრად საერო სამრევლო სკოლებისათვის მასწავლებლების მომზადება აქვთ, ჰფიქრობენ მოუმატონ სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო კლასებიც.

— რუსეთის შაქრის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ უმადლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ასწავლონს ის საგნებიც, რომელნიც შაქრის წარმოების საქმეს შეეხებიან.

— იმ დაბალ სკოლების რიცხვი, რომელთაც რკინის გზები ინახავენ, და რომლებშიაც რკინის გზებზედ მოსამსახურეთა შვილები სწავლობენ, მთელს რუსეთში ყოფილა 200. ამ სკოლებზედ რკინის გზები ყოველს წელიწადს ხარჯავენ 191,499 მან.

— სამკურნალო დეპარტამენტს აზრადა აქვს მკურნალები გაჰგზავნოს იმ ადგილებში, სადაც კეთროვანნი არიან, ამ ავადმყოფობის გამოსაკვლევად და საჭირო ღონისძიებათა შემუშავებლად იმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— პეტერბურგში აარსებენ თავშესაფარს უზნეო და დაცემულ ქალთათვის, ასეთი თავ-შესაფარი რუსეთში პირველი იქმნება. ამ საქმისათვის უკვე შეუკრებიათ 30,000 მანათი. დამაარსებელთ სხვა შემოწირულების იმედიცა აქვთ.

— მიწად-მოქმედების სამინისტრომ „С. О.-“ს სიტყვით, ნება დართო მიეცეთ ხაზინიდგან სესხად სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ საჭირო ფული სამეურნეო იარაღის საწყობის გასამართავად.

— აზრადა აქვთ პეტერბურგში დააარსონ ისეთი სავაჭრო სკოლა ქალთათვის, როგორიც წელს კიევში დააარსეს.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. როგორც ისმის, სოფრანგეთის პოლიტიკური წრეები საეკვედურს ეტხვლებენ დეშუეის კაბინეტის წინააღმდეგ. დეშუტატებისა და სენატორების უმეტესობა ბიზეს შეადგენს ასხელი კანონი დრეფუსის სამქმის შესახებ. როგორც ე

დაბეჭდვას. ლოდინი აღგვისრულდა და ეხლა წიგნი წინ გვიდევს, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვთქვამ, შეძლებისა დაგვარად, ჩვენი აზრი მისის ღირსების შესახებ.

ყველა ჩვენთაგანი, ცხადია, სიხარულით უნდა მიეგებოს ისეთი ღირგის წიგნის გამოცემას, როგორითაც ღირსია ჩვენი ახალი ლიტერატურა. სიტყვიერების თეორიის შედგენა და გამოცემა ქრისტომატიის ზედ დართვით, როგორც ვიცით, პირველი მაგალითია ჩვენში და ამიტომ ჩვენც დიდის სიხარულით მივეგებეთ ასეთი საჭირო წიგნის დაბეჭდვას. რაც უნდა იყოს, იგი ცოტად მაინც დაკმაყოფილებს მოთხოვნილებასა და საჭიროებას. ამიტომ კმაყოფილი უნდა ვიყოთ მოხსენებულის „სიტყვიერების თეორიით“ და მადლობაც უნდა განვუცხადოთ შრომისთვის მის შემდგენელებს, მით უმეტეს, რომ ისინი თითონ გვთხოვენ ნაკლულევანების ჩვენებას და გვპირდებიან მომავალში მის გაუმჯობესობას.

„სიტყვიერების თეორია“, როგორც ზედ-წარწერა გვიჩვენებს, არის „სახელმძღვანელო წიგნი, შედგენილი სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საქალებო სკოლებისათვის“; ეს ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ ამ წიგნზედ მსჯელობის დროს.

წიგნის განხილვას ჩვენ თვით მისი შემდგენლების წინასიტყვაობიდგან დავიწყებთ.

„ამ ჟამად უკვე საჭიროა“, ბრძანებენ ისინი, „არსებობდეს ისეთი სახელმძღვანელო, რომლის შემწეობით შეიძლებოდეს შესწავლა ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიისა. ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ჯერ-ჯერობით ეს მოკლე სახელმძღვანელო სიტყვიერების თეორიისა და ზედ დაურთეთ ცალკე დამატებად საქრისტომატიო ნაწილიცა, ანუ კრებული იმისთანა სალიტერატურო ნიმუშებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შესათვისებლად.“

როგორც სჩანს ამ სიტყვებიდგან, განსახილველი წიგნი შესდგება ორის ნაწილისაგან. პირველს ნაწილში მოთავსებულია სიტყვიერების მოკლე თეორია, ხოლო მეორე ნაწილს შეადგენს კრებული სალიტერატურო ნიმუშებისა.

ჩვენი შენიშვნები შეეხება მხოლოდ პირველს ნაწილს, ესე იგი, სიტყვიერების თეორიას, რადგანაც მეორე ნაწილი წარმოადგენს მხოლოდ კრებულს სალიტერატურო ნიმუშებისას და აქ შემდგენელების შრომა მარტო იმითი გამოიხატება, რომ მათ შეუკრებიათ და გადმოუწერიათ ისეთი ნიმუშები ჩვენის ძველისა და ახალის სიტყვიერების ნაწარმოებიდგან, რომლებიც საჭიროდ დაუნახავთ თეორიის გასამარტლებლად. ამას გარდა აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ მოხსენებულ ორ ნაწილს შორის არავითარი არსებითი კავშირი არ არსებობს, ასე რომ თქვენ შეგიძლიანთ ერთი ნაწილი მეორეს მოაშოროთ, ცალ-ცალკე შეაჯაზომოთ და ერთის წიგნის ნაცვლად დაგრჩებათ ხელში ორი წიგნი.

მართალია, ერთიცა და მეორეც მიუღებელად საჭიროა სიტყვიერების თეორიის შესასწავლად, მხოლოდ ისიც უეჭველია, რომ ამისთვის საჭიროა მათ შორის რიმე კავშირი არსებობდეს. ამ კავშირის საჭიროებას თვით წიგნის შემდგენელები გვიჩვენებენ, როცა ჰბრძანებენ: „სალიტერატურო ნიმუშების განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შეთვისებისთვის“. სრული თანახმა ვართ, მხოლოდ უნდა ვკითხოთ წიგნის შემდგენლებს: როგორა სჯობს, ნიმუშების განხილვასა და შესწავლაზედ უნდა იყოს დამყარებული სიტყვიერების თეორიის შესწავლა და შეთვისება, თუ ჯერ ცალკე სიტყვიერების მოკლე და დოგმატიური თეორია და მერე ბოლოში სალიტერატურო ნიმუშების მოქცევა?

ყველა უკეთესის ახალ სახელმძღვანელოების დამწერნი და სიტყვიერების საუკეთესო მასწავლებლებიც პირველ გზას ადგანან და ჩვენც ასე ვფიქრობთ. მაგრამ ჩვენს „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლებს მეორესთვის მიუციათ უპირატესობა. უწინ რუსეთშიაც ამ გზას ადგენენ „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლები, მაგრამ დღეს იმათი სახელმძღვანელოების წეს-აგებულია და სასწავლებლების არხივში განისვენებს ხელუხლებლად.

ჩვენი „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლებს მიუბაძავთ, როგორც თითონ ამბობენ წინასიტყვაობაში, რუსის მწერლებისათვის, როგორც მაგ. ბელორუსოვისა, სლუჩევსკისა, სპირნოვისა და სხვათათვის, მაგრამ მათგან მარტო სიტყვიერების თეორია უსესხნიათ და გადმოუთარგმნიათ, ის-კი, რაც უფრო საჭირო იყო, უყურადღებოდ დაუტოვებიათ. სლუჩევსკის, მაგალითად, თვისი სიტყვიერების თეორიები სალიტერატურო ნიმუშების გარჩევისა და განხილვისაგან გამოჰყავს, როგორც შედეგი მათი დახასიათებისა. ასე იქცევა რუსულის საუკეთესო სახელმძღვანელოს შემდგენელი ბ-ნი ვოდოვოზოვი და სხვ. ყველანი ამ გზას ადგანან, რომ ჯერ ნიმუში მოიყვანონ, გაარჩიონ და მისგან გამოიყვანონ თეორია. ჩვენს სიტყვიერების თეორიის შემდგენელებს კი არც ერთი სალიტერატურო ნიმუში არა აქვთ მოყვანილი და გარჩეული წინ-და-წინ. ისინი, პირიქით, ჯერ თეორიას განმარტავენ დოგმატიურად და მერე უთითებენ დამატებაში მოქცეულ ნიმუშებზედ. ხოლო მათი განხილვა და გარჩევა თვით მოწაფეებისთვის მიუნდვიათ.

მართალია, ჩვენის სახელმძღვანელოს შემდგენელებისთვის ძნელი იქნებოდა ყველა თეორიის ნიმუშების მონახვა, არჩევა, განხილვა და მათგან თეორიების გამონასკვა, რადგანაც ეს უფრო დიდს შრომას, დროსა და ცოდნასაც მოითხოვდა. მაგრამ სამაგალითოდ ზოგიერთი ნიმუშები მაინც უნდა გაერჩიათ და დანარჩენნი, უკეთუ უმისობა არ შეიძლებოდა, მოწაფეებისთვისა და მათის მასწავლებლებისთვის მიენდოთ.

ერთად-ერთი ადგილი, სადაც ისე მოქცეულან, როგორც საჭირო იყო, ის ადგილია, სადაც ისინი პოეზიისა და პროზას ადარებენ ერთმანერთს და მათს განსხვავებას გვიჩვენებენ. აქ მათ ჯერ გადმოუბეჭდიათ სანამუშოდ ჩვენის მატანანდგან ერთი ადგილი მეფის დიმიტრი თავდადებულის შესახებ და ადარებენ ი. ჭავჭავაძის პოემას „დიმიტრი თავდადებული.“ მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც შეზარვებით, ანუ იქნება საჭიროდ არ დაინახეს, იქვე დაებეჭდათ თვით პოემა ანუ რამდენიმე თავი მაინც. უკეთუ ეს პოემა მოზრდილია და იმიტომ ვერ დაჰბეჭდეს, შეიძლებოდა სხვა უფრო მოკლე ნიმუშები დაებეჭდათ. მათ-კი, ამის ნაცვლად, დაუბეჭდიათ ამ პოემის შინაარსი და ისე ადარებენ მატანასაგან მოყვანილ ადგილს. ამ შედარებიდგან გამოჰყავთ, რა განსხვავება პროზასა და პოეზიას შორის. შეიძლება ეს შეცდომა კიდევ ვაპატიოთ ჩვენის სიტყვიერების თეორიის შემდგენელებს, რადგანაც ი. ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“ ჩართული აქვთ დამატებაში და უფიქრიათ, იქ წაიკითხავენ შეგირდებია. მაგრამ სხვაგან-კი ისე მოქცეულან, რომ ვერაფრით ვერ გავამართლებთ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, მაგ., ნიმუშებისთვის „კრებულისა“, „ივერიისა“ და „ჯეჯილის“ საძებნელად ჭგზავნიან მოწაფეებს. მაგალითად: როცა საგმირო თქმულებათ განმარტავენ, ნიმუშის შესახებ აი რას სწერენ: „იხილე კრებული აკაკისა;“ „ივერია“ 1888 წ.“ ზღაპრების ნიმუშების შესახებაც ასე ჰბრძანებენ: „იხილე „ჯეჯილი“ 1898 წ. IV. „ჯეჯილი“ 1890 წ. 1. იხილე აკაკის „კრებული“ 1898 წ. № IV და სხვ.—ეს კი, სწორედ მოგახსენოთ სახელმძღვანელოში სრულიად შეუსაბამია და, ვგონებთ, პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზედ!

გვიკვირს: უკეთუ თვით სიტყვიერების თეორიის შემდგენელები ვერ მიხვდნენ ამ ინვითი ნაკლულევანებას, რატომ ქართულის იმ მასწავლებლებმა მაინც არ მიაქციეს ამას მათი ყურადღება, რომელთაც თავიდამ ბოლოამდის მოუსმენიათ სახელმძღვანელო და რომელთაც შემდეგ ნელები მადლობას უძღვნიან წინასიტყვაობაში!

წყალტუბელი

(დასასრული იქნება)

დამაგვირდა

რა ბედი კაცზედ სჯიანდ მიჯა, თვითონ მოურთოვეს საქმესა.

ხალხან საბა

* * *

მტერმა და მოყვარემ ერთისა და იმავე დროს მტყორცეს—მარეკლმა შესაძანი ისარი და მეორემ შესაძანი სიტყვა, გარეს ვიდრე მეწეოდა ისარი, იგი მეწეკვე სიტყვა უფრე დამესო და გაგმირა.

ლასურიძე

* * *

საბრძნე და წურთოდება, ვითარცა სიმოთხე კანაერი, ოთკეულსა კეთილსა მოიდებს.

ხელ-ნაწერი 1586 წლისა

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ორის კვირის წინად ავსტრიის ქალაქ ბუდა-პეშტის მახლობლად, ბლოკსბერგის მთის ძირში ერთს გამოქვაბულში ჭნახეს ერთი მეტად უცნაური კაცი. თმა და წვერი ამ კაცს იმდენად გაზრდოდა, რომ მუცელზედ სცემდა, ფრჩხილები 12 სანტიმეტრის სიგრძისა ჰქონდა. დაჭერის დროს პოლიციას ეს კაცი დიდს წინააღმდეგობას უწევდა და სულ ამას იძახოდა „გამიშვით, ტყის კაცი ვარ!“ ო. მიხვდნენ, რომ კაუზედ შეშლილი იყო და პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს. მალე პოლიციის გამოძიებამ და მეცადინეობამ აღმოაჩინა, რომ ეს კაცი სამეფო გვარდიის ობერ-ლეიტენანტად ნამყოფი რუდოლფ კოვაჩი ყოფილა. ამ ოფიცერს ოდესღაც შეჰყვარებია მარიენბადში ერთის ქარხნის პატრონის ქალი. გამოუცხადებია სიყვარული და ქალიც დათანხმებულა გამოგყვები ცოლადო. მაგრამ მაღე ქალის მამამ შეატყობინა კოვაჩს, რომ ჩემ ქალს ვერ მოგაბოზვეთო, რადგან გაგდარიხი და ვედარც ქრთამს მოგცემთ და ვედარც იმ ფულს შევიტანთ, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მთავრობამ ნება მოგაცეთ ცოლი შეირთოთო. ოფიცერი, რომელსაც ქალი ძალიან უყვარდა, მეელანხოლიაში ჩავარდა, შემდგომ ტყეზედაც წასულა. ცოტა ხანს უკან დეკემბერ გაუბედავნია თავის ცოლს, რომელშიაც ატყობინებდა თავის თავზედ, რომ გარდავიცვალეო. შემდეგ ოფიციის მთაში წავიდა და იქ ნაღირივით დაიწყო ცხოვრება. კოვაჩი გამოქვაბულში სცხოვრობდა, იკვებებოდა მხოლოდ მცენარეებითა და ფესვებით. ხანდის-ხან ბნელ ღამეში გამელულ-გამომელული სამეფოსა სოფოდა ხოლმე. პოლიციისა საშინლად ეშინოდა და როდესაც-კი დაინახავდა, თავის გამოქვაბულისაკენ გაიქცოდა ხოლმე. მკურნალებს გამოუცხადებიათ, რომ ასეთი სიგიჟე მეტად იშვიათია და იმის მორჩენაც შეუძლებელიაო.

სამეცნიერო ცნობები

ახალი სასტამბო ლითონი.

ამ ჟამად არის ერთგვარი შენიზვა დლითონი, რომლითაც სტამბისთვის სასაუბლავ ასოებს აკეთებენ. ეს ლითონი მიგნებულია ჯან-მრთელობისათვის, რადგან მიგ ტუბა ურეგია. დღეისს სტდალდობდენ შეეცვალოთ იგი რომე და ამ ტაეს ამოდგეს არ ჩაუვლა. ეს ახალი ნარევი ლითონი შეუდგენიათ ამითი, რომ ალიუმინი შეურევიათ ერთ სხვა ლითონთან, რომელის სახელსაც ეერმანელი სამეცნიერო Herz Trottner და ამბ. ჯერ-ჯერობით სიადუმლოდ ინახავს. ახალი ნარევი ლითონი უფრო მაგარია თორმე ესეა ხმარებულზედ და თითქმის ერთი ხუთად სუფეეტი, რას გამოც უფრო გამძლეა თორმე. ამის გარდა, მისი ჩამოსხმა ეხლანდელთან შედარებით არც ძვირად ჯდება. ამის გარდა, ალიუმინის ლითონი უკეთ იღებს სასაუბლავს წამოდს და არ იგრავს, არა სეკამს, რას გამოც ნაბეჭდიც უკეთესი გამოდის თორმე და სასაუბლავი წამოდიც ნაკლები ისოვეკება.

გამოსაძებნი ცნობა

—

შეიძლება თორმე იმისთანა წიგნი გაკეთდეს, რომ წიგნშიაც გასძღოს ამ წიგნოთი დაწერილებულმა. ალიეთ 80 წელი დურგლის წიგნი წიგნში გასსინდა, 20 წელი კუბრი (смола) გასსენთ შიგ დუდალიეთ და ერთი წელი სვეტადარი ჩაუმატეთ. ეს წიგნი თორმე წეტიშიც-კი სძღებს. წელი გიკვანძოთ, თუ მისსდოთ ინაკარეშეს იმისდა მისეიდეთ, ბეკრი წიგნი გიწერო, თუ ტოტა.

დეპეშა

11 მარტი.

ასხაბადი. მატარებელი № 24 დიმტერა მე-24 ვერსტზე, ხიდზედ, რომელიც ჩაინგრა და თ. ნ. ჩიტანა ორთქლმავალი. ოთხი ვაგონი დაიმსხვრა. დაიხოცენ: მემანქანე, მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი.

ასხაბადი. დიღმა წვიმებმა კასპიის იქითა მხარეს ბევრგან შესაძენივად დაიზიანა რკინის გზა, კაგრიუტის სადგურში წყალი სდგას. მატარებლებს მიმისელა შეჩერებულია.

ძრისტიანია. დღეს გარდაიცვალა მინისტრად ნამყოფი, უმაღლეს სასამართლოს ბრალმდებელი, სტორტინგის წევრი ქრისტენ შვიგარდი.

ბერლინი. გერმანიის ყველა მაზრებიდგან იუწყებიან, რომ ძლიერი ყინვები არის, რომელიც 9 გრადუსამდინ. ზამთრის ნათესები გაფუჭდა თუ არა, არ იცით. საადრო ხეები გაფუჭდა.

პარიზი. საკასაციო პალატამ არ შეიწყნარა ქ-ნ დრეიფუსის თხოვნა სამი წევრის დაგაყენების შესახებ და 100 ფრანკი ჯარიმა შეაწერა.

კონსტანტინეპოლი. გუშინ ხელმოწერილ იქმნა კონვენცია იმის შესახებ, რომ გაკეთოს ხაიდარ-ფაშის ნავთსადგური ანატოლიის რკინის გზის საზოგადოებამ.

13 მარტი

პეტერბურგი. 12 მარტს პეტერბურგიდგან კრასნოიარსკში წავიდა შვედელი არქეოლოგი მარტინი. მარტინმა უნდა ადგილობრივ გამოიკვლიოს არის თუ არა სავნების ოქროს მადნების მახლობლად ჰარონაეტი და ანდრესი და იმის თანაშემოგზაურთა გვამები.

ლონდონი. ჰეკინიდგან იუწყებიან, ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ ლი-ხუნ-ჩანგი მალე პეკინში დაბრუნდებაო.

ლონდონი. მინისტრმა გერფორდმა სიტყვაში, რომელიც ლიბერალთა კავშირის კლუბში წარმოსთქვა, განაცხადა, რომ საფრანგეთთან მორიგება შეძლებას აძლევს ინგლისს შეუდგეს ეგვიპტესა და სუდანის ოკუპაციასაო. მთავრობას იმედი აქვს, რომ რუსეთთან მეგობრული განწყობილება ექონება, რაიცა ხელს შეუწყობს ინგლისს სამუდამოდ ბოლო მოუღოს იმ უთანხმოებას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ჰუფეკვნო.

გიბრალტარი. რუსეთის სამხედრო გემი „ბროზოიშჩი“ ალეკრიდგან აქ მოვიდა. საჭირო ნახშირს წაიღებს და ტანჯერში წავა.

„ივერიის“ ფოსტა

ი. კი—ძეს. თქვენი ნაწყვეტი არ დაბეჭდება. ლექსის სწორება არ შეიძლება, ლექსი დაბადებითვე ლამაზი და უხინჯო უნდა იყოს.

ნილ. ბაბე—ს. თქვენი „სალამი მწერლებს“ თითონვე გარდაეცით მწერლებს, თუმცა არა ბეგენია-კი, რომ მაგისთანა მახინჯის ლექსით დაწერილ სალამისთვის მადლობა მოიმინოთ. ლექსი არ დაიბეჭდება.

ა. ხ—ძეს. არ დაიბეჭდება.

კალამბარას, ძ—ენი. მ. მეფუტბეენს, ძ. ძ—ხი. კულაშვილს, ალილ ხეგბოს, სოფ. ხ—ე. შ. ჯ—შვილს, მ. ახალბოროელს, ძ. ხ—ლი, ძარიშვილს ქალს, სოფ. აფ—ნა. ა—ს, ხ. ქვეშო—მ—ნი. ბ—და—ს—ხე. სოფ. ქნოლეეი, უსაბელოს და სოფ. ჯ—ში, თაბადეს—თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Марта 1899 г. ტიპ. ძ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.